# სს მისო ინვესტ ჯორჯია

## ფინანსური ანგარიშგება

## 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მისო ინვესტ ჯორჯია
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარში

შინაარსი


| | |
|---|---|
| მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა | 1 |
| დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა | 2 |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 5 |
| სრული შემოსავლების ანგარიშგება | 6 |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 7 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | 8 |

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა | 9 |
| 2 | კომპანიის საოპერაციო გარემო | 9 |
| 3 | მომზადების საფუძველი | 9 |
| 4 | ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა | 10 |
| 5 | კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები | 18 |
| 6 | ფული და ფულის ეკვივალენტები | 20 |
| 7 | გაცემული სესხები | 20 |
| 8 | დასაკუთრებული ქონება | 22 |
| 9 | საგადასახადო აქტივები | 23 |
| 10 | ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება | 23 |
| 11 | გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება | 24 |
| 12 | სხვა აქტივები | 24 |
| 13 | მიღებული სესხები | 25 |
| 14 | საიჯარო ვალდებულებები | 25 |
| 15 | სააქციო კაპიტალი | 25 |
| 16 | საპროცენტო შემოსავალი | 26 |
| 17 | საპროცენტო ხარჯი | 26 |
| 18 | სხვა შემოსავალი | 26 |
| 19 | საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | 26 |
| 20 | უიმედო ვალების ხარჯი | 27 |
| 21 | მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 27 |
| 22 | ფინანსური რისკების მართვა | 27 |
| 23 | ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები | 30 |
| 24 | კაპიტალის ადეკვატურობა | 31 |
| 25 | დაკავშირებული მხარეები | 31 |
| 26 | პირობითი ვალდებულებები | 32 |
| 27 | საწარმოს უწყვეტობის განხილვა | 33 |
| 28 | საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები | 33 |


*ფინანსური ანგარიშგების ბოლო გვერდი:* **33**

**მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა**

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მისო ინვესტ ჯორჯიას ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მის თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

| | |
|---|---|
| თამარ კუპრეიშვილი | მიხეილ კიბილოვი |
| დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| სს მისო ინვესტ ჯორჯია | სს მისო ინვესტ ჯორჯია |

თარიღი: 7 მაისი, 2022

## მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მისო ინვესტ ჯორჯიას ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მის თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

Moore Abc, LLC
6 Marjanishvili Street
0102, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა**
**სს "მისო ინვესტ ჯორჯიას" მენეჯმენტს**

***პირობითი მოსაზრება***

ჩვენ ჩავატარეთ სს "მისო ინვესტ ჯორჯიას" (შემდგომში ,,კომპანია‘‘) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" აბზაცში განხილული საკითხისა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

***პირობითი მოსაზრების საფუძველი***

კომპანიის აუდიტის პროცესში დავადგინეთ, რომ სესხების შესაძლო გაუფასურების რეზერვის მოდელი არ შეესაბამება ფასს 9-ის ("ფინანსური ინსტრუმენტები") მოთხოვნებს, კერძოდ: კომპანია შიდა პოლიტიკის მიხედვით ვადაგადაცილებულ დღეებს იყენებს სესხების ჯგუფებად დაყოფის მიზნებისთვის (Loan Staging), რაც წარმოადგენს არასრულ მოდელს ფასს-ის მიხედვით შემუშავებულ ინსტრუქციასთან მიმართებაში, რომელიც ვადაგადაცილებული დღეების გარდა მოდელირებისთვის ასევე იყენებს მრავალ სხვა კრიტერიუმს როგორიცაა საკრედიტო რეიტინგის ცვლილება, რესტრუქტურიზაცია, საგადასახადო შემოწმება, სესხების წინსწრებით დაფარვა, ლიკვიდურობა და ა.შ. ამას გარდა კომპანიის მიერ გამოყენებული სტანდარტული განაკვეთები არ შეიცავს ისეთ კომპლექსურ პარამეტრებს, როგორებიც არის სამომავლო დეფოლტის ალბათობა (PD), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD). ამ პარამეტრების არარსებობა მოდელში თავისმხრივ გულისხმობს იმას, რომ სესხის დარეზერვების პოლიტიკა არ შეიცავს საპროგნოზო მაკროეკონომიკურ ინფორმაციას, რაც ფასს 9-ის ერთ ერთი აუცილებელი მოთხოვნაა.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ’’აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე’’ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისათვის.

***სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა***

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS -F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

***სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა (გაგრძელება)***

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი თანდართული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ ფინანსური წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ამავე ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

***მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

**დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა** *(გაგრძელება)*

***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)***

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა, ვადების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

**მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი**

*ფირმის რეგისტრაციის ნომერი:* SARAS-F-320544
*აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი:* SARAS-A-865011

**თარიღი: 7 მაისი, 2022**
**თბილისი, საქართველო**

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

| | შენიშვნა | **31-დეკ-21** | **31-დეკ-20** |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 6 | 110,371 | 186,721 |
| გაცემული სესხები | 7 | 804,398 | 832,640 |
| დასაკუთრებული ქონება | 8 | 49,412 | 54,827 |
| საგადასახადო აქტივები | 9 | 982 | 15,452 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 11 | 10,902 | 17,099 |
| ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება | 10 | 21,446 | 48,774 |
| სხვა აქტივები | 12 | 68,137 | 40,552 |
| **სულ აქტივები** | | **1,065,648** | **1,196,065** |
| **ვალდებულებები** | | | |
| მიღებული სესხები | 13 | 210,053 | 353,203 |
| საიჯარო ვალდებულებები | 14 | 14,913 | 43,283 |
| სხვა ვალდებულებები | | 8,344 | 3,769 |
| **სულ ვალდებულებები** | | **233,310** | **400,255** |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 15 | 1,632,500 | 1,632,500 |
| გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) | | (800,162) | (836,690) |
| **სულ კაპიტალი** | | **832,338** | **795,810** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **1,065,648** | **1,196,065** |

| | |
|---|---|
| თამარ კუპრეიშვილი | მიხეილ კიბილოვი |
| დირექტორი | მთავარი ბუღალტერი |
| სს მისო ინვესტ ჯორჯია | სს მისო ინვესტ ჯორჯია |

თარიღი: 7 მაისი, 2022

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 6 | 110,371 | 186,721 |
| გაცემული სესხები | 7 | 804,398 | 832,640 |
| დასაკუთრებული ქონება | 8 | 49,412 | 54,827 |
| საგადასახადო აქტივები | 9 | 982 | 15,452 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივი | 11 | 10,902 | 17,099 |
| ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება | 10 | 21,446 | 48,774 |
| სხვა აქტივები | 12 | 68,137 | 40,552 |
| **სულ აქტივები** | | **1,065,648** | **1,196,065** |
| **ვალდებულებები** | | | |
| მიღებული სესხები | 13 | 210,053 | 353,203 |
| საიჯარო ვალდებულებები | 14 | 14,913 | 43,283 |
| სხვა ვალდებულებები | | 8,344 | 3,769 |
| **სულ ვალდებულებები** | | **233,310** | **400,255** |
| **კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი | 15 | 1,632,500 | 1,632,500 |
| გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი) | | (800,162) | (836,690) |
| **სულ კაპიტალი** | | **832,338** | **795,810** |
| **სულ ვალდებულებები და კაპიტალი** | | **1,065,648** | **1,196,065** |

თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

**სრული შემოსავლების ანგარიშგება**

| | შენიშვნა | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 16 | 320,665 | 384,994 |
| საპროცენტო ხარჯი | 17 | (28,886) | (53,766) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **291,779** | **331,228** |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | | 9,938 | 1,339 |
| სხვა შემოსავალი | 18 | 4,580 | 54,224 |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | **306,297** | **386,791** |
| საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | 19 | (264,894) | (222,764) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 10 | (27,328) | (27,843) |
| უიმედო ვალების ხარჯი | 20 | (37,943) | (305,178) |
| სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი) | 7 | 144,333 | 146,844 |
| დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ხარჯი | 8 | (5,415) | (90,218) |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 21 | (72,325) | 155,380 |
| **მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე** | | **42,725** | **43,012** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 11 | (6,197) | (21,672) |
| **მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)** | | **36,528** | **21,340** |

თამარ კუპრეიშვილი
დირექტორი
სს მისო ინვესტ ჯორჯია

მიხეილ კიბილოვი
მთავარი ბუღალტერი
სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

## სრული შემოსავლების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 16 | 320,665 | 384,994 |
| საპროცენტო ხარჯი | 17 | (28,886) | (53,766) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | | **291,779** | **331,228** |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | | 9,938 | 1,339 |
| სხვა შემოსავალი | 18 | 4,580 | 54,224 |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | **306,297** | **386,791** |
| საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | 19 | (264,894) | (222,764) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 10 | (27,328) | (27,843) |
| უიმედო ვალების ხარჯი | 20 | (37,943) | (305,178) |
| სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (ხარჯი) | 7 | 144,333 | 146,844 |
| დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ხარჯი | 8 | (5,415) | (90,218) |
| მოგება/(ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 21 | (72,325) | 155,380 |
| **მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე** | | **42,725** | **43,012** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 11 | (6,197) | (21,672) |
| **მიმდინარე წლის სრული შემოსავლები / (ხარჯები)** | | **36,528** | **21,340** |

თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| სესხის დასაფარად შემოსული თანხები | | 609,833 | 872,090 |
| გაცემული სესხები | | (238,437) | (186,095) |
| გადახდილი პროცენტი | | (95,802) | (266,624) |
| გადახდილი ხელფასები | | (109,068) | (109,531) |
| საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები | | (45,854) | (30,800) |
| გადახდილი გადასახადები | | (30,078) | (11,006) |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები | | (29,226) | (26,450) |
| მეწილეებისთვის გადახდილი თანხები | | (18,600) | (18,550) |
| დაზღვევის ხარჯი | | (6,408) | (6,408) |
| კომუნალური ხარჯები | | (6,143) | (5,257) |
| ბანკის მომსახურების საკომისიო | | (307) | (739) |
| სხვა ხარჯები | | (27,694) | (16,484) |
| სხვა შემოსავლები | | 279 | 1,581 |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **2,495** | **195,727** |
| საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები | | 3 | 67 |
| დასაკუთრებული ქონების გაყიდვა | | - | 81,750 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **3** | **81,817** |
| დაფარული სესხები | | (46,000) | (183,504) |
| საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა | | (24,931) | (21,660) |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | **(70,931)** | **(205,164)** |
| საკურსო სხვაობის შედეგი | | (7,917) | 15,704 |
| **წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)** | | **(68,433)** | **72,380** |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | | 186,721 | 98,637 |
| **ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | **6** | **110,371** | **186,721** |

თამარ კუპრეიშვილი | მიხეილ კიბილოვი
დირექტორი | მთავარი ბუღალტერი
სს მისო ინვესტ ჯორჯია | სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 2021 | 2020 |
|---|---|---|---|
| სესხის დასაფარად შემოსული თანხები | | 609,833 | 872,090 |
| გაცემული სესხები | | (238,437) | (186,095) |
| გადახდილი პროცენტი | | (95,802) | (266,624) |
| გადახდილი ხელფასები | | (109,068) | (109,531) |
| საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები | | (45,854) | (30,800) |
| გადახდილი გადასახადები | | (30,078) | (11,006) |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები | | (29,226) | (26,450) |
| მეწილეებისთვის გადახდილი თანხები | | (18,600) | (18,550) |
| დაზღვევის ხარჯი | | (6,408) | (6,408) |
| კომუნალური ხარჯები | | (6,143) | (5,257) |
| ბანკის მომსახურების საკომისიო | | (307) | (739) |
| სხვა ხარჯები | | (27,694) | (16,484) |
| სხვა შემოსავლები | | 279 | 1,581 |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **2,495** | **195,727** |
| საბანკო დეპოზიტებზე მიღებული პროცენტები | | 3 | 67 |
| დასაკუთრებული ქონების გაყიდვა | | - | 81,750 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **3** | **81,817** |
| დაფარული სესხები | | (46,000) | (183,504) |
| საიჯარო ვალდებულების ძირის დაფარვა | | (24,931) | (21,660) |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | **(70,931)** | **(205,164)** |
| საკურსო სხვაობის შედეგი | | (7,917) | 15,704 |
| **წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)** | | **(68,433)** | **72,380** |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | | 186,721 | 98,637 |
| **ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | 6 | **110,371** | **186,721** |

თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

| | საწესდებო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,632,500** | **(858,030)** | **774,470** |
| წმინდა მოგება 2020 წლისთვის | - | 21,340 | 21,340 |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,632,500** | **(836,690)** | **795,810** |
| წმინდა მოგება / (ზარალი) 2021 წლისთვის | - | 36,528 | 36,528 |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,632,500** | **(800,162)** | **832,338** |

თამარ კუპრეიშვილი — მიხეილ კიბილოვი

დირექტორი — მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია — სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

## კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | სააქციო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,632,500** | **(858,030)** | **774,470** |
| წმინდა მოგება 2020 წლისთვის | - | 21,340 | 21,340 |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,632,500** | **(836,690)** | **795,810** |
| წმინდა მოგება / (ზარალი) 2021 წლისთვის | - | 36,528 | 36,528 |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,632,500** | **(800,162)** | **832,338** |

თამარ კუპრეიშვილი

დირექტორი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

თარიღი: 7 მაისი, 2022

მიხეილ კიბილოვი

მთავარი ბუღალტერი

სს მისო ინვესტ ჯორჯია

**შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "მისო ინვესტ ჯორჯიას" (შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია") ფინანსურ ინფორმაციას.

სს მისო ინვესტ ჯორჯია (ს/კ: 404869576) დარეგისტრირდა 2010 წლის 12 აგვისტოს თბილისში, საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. № 33.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხების გაცემა. კომპანიას აქვს 2 ფილიალი თბილისსა და ზუგდიდში. კომპანია ძირითადად გასცემს სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებს. დადგენილია სესხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს 100,000 ლარს.

სს "მისო ინვესტ ჯორჯიას" აქციონერები არიან:

| აქციონერები | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| კლარკსონი მეთიუ ჯონ | 70% | 70% |
| ხარბედია რუსუდანი | 30% | 30% |
| | **100%** | **100%** |

კომპანიას გააჩნია წილი შპს "UNIVERSAL SERVICE"-ში, რომელიც დაფუძნებულია 2012 წლის 1 მაისს. კომპანიის წილობრივი რაოდენობა შეადგენს 55%-ს, რომელიც შეისყიდა 2013 წელს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ისევე როგორც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნული ინვესტიცია სრულად გაუფასურებულია.

**შენიშვნა 2 კომპანიის საოპერაციო გარემო**

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები მოიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 1,000,000 ლარი) და ფინანსური ანგარიშგების წარდგენას ფასს-ის შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 100,000 ლარზე მეტი თანხის გაცემა.

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანაა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამეწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყანაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2021 წლის კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი 33.36 ქულაა (196 ქვეყანას შორის 41-ე ადგილს იკავებს).

**შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში ("ლარი").

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშგებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

**შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა**

**4.1 ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს)**

2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – მეორე ეტაპი;

ბ) ფასს 16-ის შესწორებები – კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა.

**ა) ფასს 4-ის, ფასს 7-ის, ფასს 9-ის, ფასს 16-ისა და ბასს 39-ის შესწორებები – საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – მეორე ეტაპი**

ამ შესწორებების შედეგად, საწარმოს:

*• არ მოეთხოვება რეფორმით მოთხოვნილი ცვლილებების გამო ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა ან მათი საბალანსო ღირებულების კორექტირება, არამედ ამის ნაცვლად საწარმო შეცვლის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, რათა ასახოს ალტერნატიული საორიენტაციო საბაზისო განაკვეთის ცვლილება;*

*• არ მოეთხოვება ჰეჯირების აღრიცხვის შეწყვეტა მხოლოდ იმის გამო, რომ ის რეფორმით გათვალისწინებულ ცვლილებებს ახორციელებს, თუკი ჰეჯირება აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვის სხვა კრიტერიუმებს; და*

*• მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება რეფორმის შედეგად წარმოქმნილი ახალი რისკების შესახებ და ასევე იმის თაობაზე, როგორ მართავს საწარმო ალტერნატიულ საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთებზე გადასვლის პროცესს.*

ეს შესწორებები ეხება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებს.

***ბ) ფასს 16 -ის შესწორებებ - კოვიდ- 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა***

*ფასს 16 -ის „იჯარა“ შესწორებები ეხება გამარტივებულ მიდგომას, რომელიც საწარმოს უფლებას აძლევს, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საიჯარო ქირის დათმობა არ აღრიცხოს როგორც იჯარის მოდიფიკაცია, თუ იგი წარმოიშობა კოვიდ-19 -ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით.*

ეს შეწორება ძალაშია 2021 წლის 1 ივნისიდან.

***ფასს 16 -ის შესწორებები – კოვიდ-19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ***

*ამ შესწორების თანახმად, ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენება ნებადართულია ისეთი საიჯარო ქირის დათმობების მიმართ, რომლებიც იწვევს მხოლოდ იმ საიჯარო გადახდების შემცირებას, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა, იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია ამ გამარტივებული მიდგომის გამოყენებისთვის დადგენილი სხვა პირობები.*

*ეს შესწორება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, მათ შორის იმ ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებიც გამოსაცემად დამტკიცებული არ იყო ამ შესწორების დოკუმენტის ძალაში შესვლის თარიღისთვის.*

*თუ საწარმო ვადაზე ადრე გამოიყენებს დოკუმენტს „კოვიდ 19 -თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“, მაშინ მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს განმარტებით შენიშვნებში (მათ შორის ზემოთ მოცემულ პუნქტში განსაზღვრული მოთხოვნები) და ამასთან წარმოადგინოს დამატებითი ინფორმაცია.*

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

## 4.2 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა ახალი სტანდარტები და შესწორებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი ცვლილებები:

ა) ფასს 16-ის შესწორებები - „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“;
ბ) ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
გ) ბასს 1-ის შესწორებები - „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად“
დ) ბასს 16-ის შესწორებები - „ძირითადი საშუალებები: დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა“;
ე) ფასს 3-ის შესწორებები - „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“;
ვ) ბასს 37-ის შესწორებები - „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი“;
ზ) 2018–2020 წლის ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
თ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - „აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში“;
ი) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - „ინფორმაციის გამჟღავნება საარიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები“;
კ) ბასს 8-ის შესწორებები - „ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება“;
ლ) ბასს 12-ის შესწორებები- „გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან“.

**ფასს 16-ის შესწორებები – კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ:** ამ შესწორების თანახმად, ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენება ნებადართულია ისეთი საიჯარო ქირის დათმობების მიმართ, რომლებიც იწვევს მხოლოდ იმ საიჯარო გადახდების შემცირებას, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა, იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია ამ გამარტივებული მიდგომის გამოყენებისთვის დადგენილი სხვა პირობები. ეს შესწორება ძალაშია 2021 წლის 1 აპრილიდან.

***ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“*** *ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრუ ლებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ისეთი გადაზღვევის ხელშეკრულებისა და საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც, რომლებიც შეიცავს დისკრეციული მონაწილეობის პირობებს. ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

***ბასს 1 -ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“*** *- შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულების სახით. ასევე უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულების დაფარვის მნიშვნელობა. ეს შესწორებები ძალაში შედის შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

***ბასს 16 -ის – „ძირითადი საშუალებები“ შესწორებები*** *საწარმოს ავალდებულებს, რომ მოგებაში ან ზარალში აღიაროს ისეთი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა, რომლებიც წარმოებულია დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ძირითადი საშუალებების მომზადებისას და ასევე შესაბამისი დანახარჯები, ნაცვლად იმისა, რომ მიღებული თანხები გამოიქვითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს შესწორებები ძალაში შედის შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

***ფასს 3 – „საწარმოთა გაერთიანება“*** *- შესწორებების შედეგად განახლდა ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მითითება ისე, რომ არ შეცვლილა საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის მოთხოვნები. ეს შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

***ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“*** *– შესწორებების შედეგად უფრო ზუსტად განსაზღვრა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება არის თუ არა წამგებიანი. ეს შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.*

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

**4.2 ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული** *(გაგრძელება)*

***დოკუმენტმა „ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება, 2018-2021 წლების ციკლი“ გამოიწვია შემდეგი ცვლილებები:***

- ფასს 1-ის, რათა გამარტივებულიყო დაგროვილი საკურსო სხვაობების შეფასების მიმართ ფასს 1-ის გამოყენება იმ შვილობილი საწარმოსთვის, რომელიც მშობელი საწარმოს შემდეგ პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს.

- ფასს 9-ის, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო საზღაური, რომელსაც საწარმო ითვალისწინებს იმის დასადგენად, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან;

- ფასს 16-ის მე-13 საილუსტრაციო მაგალითის, რათა გაუქმებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრაცია;

- ბასს 41-ის, რათა გაუქმებულიყო დაბეგვრიდან ფულადი ნაკადების გამორიცხვის მოთხოვნა, როდესაც საწარმო აფასებს სამართლიან ღირებულებას და ამით ბასს 41-ში მოცემული სამართლიანი ღირებულების შეფასების მოთხოვნები შესაბამისობაში მოსულიყო სხვა ფასს სტანდარტების მოთხოვნებთან.

ეს შესწორებები ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

***ფასს 10-ისა – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ და ბასს 28-ის – „ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“ –*** *შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დაასრულებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.*

***სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები ცვლილებებს იწვევს შემდეგ სტანდარტებში:***

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;

- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;

- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვაოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;

- ბასს 34, რათა განისაზღვროს არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ფარგლებში;

- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 – „არსებითობის განსჯა“, რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებითობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

***დოკუმენტმა - „გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან“*** *- გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს ერთნაირ/ტოლ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება ერთნაირი/ტოლი დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები. ასეთ ოპერაციებთან დაკავშირებით საწარმო ვალდებულია აღიაროს გადავადებული გადასახადი.*

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

## 4.3 ფინანსური ინსტრუმენტები

*თავდაპირველი აღიარება და შეფასება*

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად.

ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

*ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება*

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში, თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის სავარაუდო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ გაცემული სესხებისთვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა (დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5).

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

## 4.3 ფინანსური ინსტრუმენტები *(გაგრძელება)*

*ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)*

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

*ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა*

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ხორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

- მესაკუთრეობის რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

*ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

*სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით* (FVTPL) - ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვაა (სავაჭრო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსახვედრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*სხვა ფინანსური ვალდებულებები* - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხვდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

*ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

## 4.4 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ანგარიშგების ისეთი მუხლი, რომლის კონვერტირება ნაღდ ფულში შესაძლებელია ერთ დღეში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკის მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებზე არსებულ ფულს.

## 4.5 გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება საბაზრო ღირებულებას (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), დამატებული სესხის გაცემასთან დაკავშირებული ტრანზაქციის განხორციელების ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით.

## შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

### 4.5 გაცემული სესხები *(გაგრძელება)*

სესხის ამორტიზირებული ღირებულება არის სესხის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული გადახდილი სესხის ძირის თანხები, დამატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია ეფექტური განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ნებისმიერი სხვაობისას თავდაპირველად აღიარებულ რაოდენობასა და დასაფარ თანხას შორის, გამოკლებული სესხის გაუფასურება. შენატანები და შეღავათები, თავდაპირველი სატრანზაქციო ხარჯების ჩათვლით, შედის შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. როდესაც სესხი უიმედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ, რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

### 4.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკეთების) და შენახვის დანახარჯები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

| აქტივების ჯგუფი | ცვეთის განაკვეთი |
|---|---|
| კომპიუტერული ტექნიკა | 10% |
| ავეჯი და მოწყობილობები | 10% |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 10%-20% |

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცვეთის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეფასდეს მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

### 4.7 დასაკუთრებული ქონება

კონკრეტულ ვითარებებში, აქტივების დასაკუთრება ხდება დეფოლტირებული სესხების უზრუნველყოფის საგნის გამოყენების შემდეგ. კომპანია დასაკუთრებულ აქტივებს იყენებს დეფოლტირებული სესხით მართებული თანხების დაფარვის ფორმის სახით და მათ მიიჩნევს შეძენილ აქტივად და ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გასაყიდად გამიზნულად.

დასაკუთრებული აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდეგ ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

### 4.8 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

**შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)***

### 4.8 მოგების გადასახადი *(გაგრძელება)*

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასაბეგრ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეყრდნობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეგრ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის ყველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ. აღნიშნული ცვლილება ცნობილია, როგორც მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. კანონში ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება ყველა იურიდიული პირზე, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა (კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან. ამ მოდელის მიხედვით მოხდა დაბეგვრის მომენტის გადატანა მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე და შესაბამისად ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება (აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემული მოგება). ამ მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა ხდება 0% - იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრა 15%-იანი მოგების გადასახადით.

### 4.10 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

არაფინანსური აქტივები, რომლებიც კომპანიის შემთხვევაში წარმოადგენს ძირითად საშუალებებსა და გასაყიდად გამიზნულ გრძელვადიან აქტივებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაფასდება გაუფასურების ნებისმიერი ნიშნის არსებობისას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორი ღირებულებიდან უფრო დიდი: აქტივის გამოყენების ღირებულება და მისი სამართლიანი ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო საანგარიშო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებამდე, დაბეგვრამდე არსებული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივთან დაკავშირებით, რომელსაც არ შემოაქვს ფულადი ნაკადები, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ მონაცემებში მოხდა ცვლილება. კორექტირებული გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზომით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთისა თუ ამორტიზაციის გამოქვითვით, თუ არ მოხდებოდა გაუფასურების ზარალის აღიარება.

### 4.11 მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღიარდება მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რა პერიოდშიც ეს ხარჯები წარმოიშვა.

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

## 4.12 იჯარა

**განსაზღვრება იმისა შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას**

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

**აქტივის გამოყენების უფლება**

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს უშუალოდ საიჯარო ვალდებულებებს, დაკორექტირებულს ნებისმიერი დამატებითი გადასახადით, რომელიც განხორციელდა იჯარის დაწყების თარიღში ან მანამდე, ასევე, მოიჯარის მიერ გაწეულ ნებისმიერ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟის ან ფილიალებსა და ოფისებში განხორციელებული გაუმჯობესების მოსახსნელად.

აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის დაწყებიდან ვადის დასრულებამდე ერიცხება ცვეთა წრფივი მეთოდით, რომელიც აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ცვეთის ხარჯი.

**საიჯარო ვალდებულება**

კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს.

ზოგადად, საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოყენებას.

კომპანიის შემთხვევაში, საიჯარო გადახდები მოიცავს ყოველთვიურ ფიქსირებულ გადასახდელებს ქართულ და უცხოურ ვალუტაში.

2021 და 2020 წლების განმავლობაში მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი იყო 7% დოლარში წარმოდგენილი იჯარებისთვის, ხოლო 8.4% ლარში წარმოდგენილი იჯარებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

## 4.13 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში გამოითვლება ამორტიზირებული ხარჯით.

## 4.14 სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გათვალისწინებით.

## შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

### 4.15 საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდება პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით, ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

### 4.16 მოსაკრებლები, საკომისიოები, სხვა შემოსავლები და ხარჯები

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებაში, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

### 4.17 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში ასახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში ასახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები იყო:

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | 3.0976 | 3.2766 |
| ევრო | 3.5040 | 4.0233 |

### 4.18 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები (გაცემული სესხები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (მიღებული სესხები და ვალდებულებები) ურთიერთგადაიფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივებისა და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

## შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენისას, კომპანიის მენეჯმენტს მოეთხოვება გააკეთოს დაშვებები და შეფასებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, რომლებიც ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება სხვა წყაროებიდან.

შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა დაკავშირებულ ფაქტორებს. რეალური შედეგები ამ შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. დაშვებები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება. შეფასებების გადახედვა აისახება იმ პერიოდისათვის, როცა ის განხორციელდა, თუ გადახედვა ზემოქმედებს მიმდინარე და მომდევნო პერიოდებზე.

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი შეფასებები მომავალზე და სხვა ძირითადი წყაროები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, რომლებიც შეიცავენ დიდ რისკს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის:

## შენიშვნა 5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები *(გაგრძელება)*

### *ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა*

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადა – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთასა და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

### *ბ) საიჯარო ვადის განსაზღვრა*

საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა გარემოებას, რომელიც ქმნის სტიმულს, რომ გამოიყენოს გაგრძელების ოფციონი ან არ გამოიყენოს შეწყვეტის ოფციონი. გაგრძელების ოფციონები (ან პერიოდები შეწყვეტის ოფციონების შემდეგ) გათვალისწინებულია საიჯარო ვადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იჯარის გაგრძელების სათანადო საფუძველი (ან არ შეწყვეტის საფუძველი). შეფასების გადახედვა ხდება თუ მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება გარემოებებში, რომელიც გავლენას ახდენს ამ შეფასებაზე და რომელიც მოქცეულია მოიჯარის კონტროლის ფარგლებში.

### *გ) ზღვრული სასესხო განაკვეთის განსაზღვრა*

როდესაც კომპანიას არ შეუძლია ადვილად განსაზღვროს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, იყენებს მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. შესაბამისად, ზღვრული სასესხო განაკვეთი საჭიროებს შეფასების გაკეთებას, როდესაც კომპანიისთვის არ არის ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთები ან როდესაც საჭიროა მათი იმგვარად დაკორექტირება რომ ასახოს იჯარის პირობები.

ზოგადად კომპანია ზღვრულ სასესხო განაკვეთს აფასებს ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით (როგორიცაა საკუთარ მოზიდულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი ან/და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთი იჯარის მსგავს სესხებზე).

### *დ) სესხის გაუფასურების ხარჯი*

სესხის გაუფასურების ხარჯი - კომპანია სესხების და მოთხოვნების ამოღებადობის შეფასებას აკეთებს გამოცდილებაზე და მენეჯმენტის მსჯელობებზე დაყრდნობით და როდესაც დაასკვნის, რომ კომპანია სავარაუდოდ მთლიანად ვერ მიიღებს მისაღებ თანხებს მაშინ აღიარებს გაუფასურების ხარჯს. ამგვარად სესხების გაუფასურების ხარჯი დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე და მსჯელობებზე და შესაძლოა რეალური დანახარჯები განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც მენეჯმენტი ამ ანგარიშგებაში წარადგენს. კომპანია საეჭვო ვალების რეზერვს ქმნის შენიშვნა 7.6-ში აღწერილი ვადაგადაცილების დღეებისა და რეზერვის განაკვეთების შესაბამისად.

### *ე) უზრუნველყოფის რეალური ღირებულების შეფასება*

უზრუნველყოფის საგნის რეალური ღირებულების შეფასება - მენეჯმენტი რეგულარულად განიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას. მენეჯმენტი იყენებს საკუთარ გამოცდილებას რეალური ღირებულების დასაკორექტირებლად. უზრუნველყოფის მოცულობა დამოკიდებულებია მსესხებლის საკრედიტო რისკზე.

### *ვ) გადასახადები*

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დაეკისრება დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

## შენიშვნა 6 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ბანკში განთავსებული ფულადი სახსრებისგან.

**ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით**

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| ქართული ლარი (GEL) | 8,658 | 77,640 |
| აშშ დოლარი (USD) | 101,710 | 80,914 |
| ევრო (EUR) | 3 | 28,167 |
| **სულ** | **110,371** | **186,721** |

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკებში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც BB-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი) და B-ს მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი).

## შენიშვნა 7 გაცემული სესხები

კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად ფიზიკურ პირებზე, ნებისმიერი მიზნობრიობით. ძირითადად კომპანია სესხებს გასცემს ლარსა და დოლარში 1 თვიდან 10 წლამდე ვადით. გაცემული სესხების წლიური პროცენტი ძირითადად მერყეობს 19 პროცენტიდან 40 პროცენტამდე. დაფარვის გრაფიკის მიხედვით გაცემული სესხები 2 ჯგუფად იყოფა: სესხის ძირის ვადის ბოლოს დაფარვით და ანუიტეტის პრინციპით. გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ავტომობილით, თავდებობით, თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

| | შენიშვნა | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|---|
| იპოთეკური სესხი | | 482,578 | 527,426 |
| ბიზნეს სესხი | | 370,132 | 465,460 |
| სამომხმარებლო სესხი | | 900,149 | 1,021,227 |
| დარიცხული პროცენტი | | 721,461 | 632,782 |
| **მთლიანი გაცემული სესხები** | **7.1** | **2,474,320** | **2,646,895** |
| *მინუს: გაუფასურების რეზერვი* | 7.4 | (1,669,922) | (1,814,255) |
| **წმინდა გაცემული სესხები** | | **804,398** | **832,640** |

**სასესხო პორტფელი ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით**

| | 31-დეკ-21 | | 31-დეკ-20 | |
|---|---|---|---|---|
| სამომხმარებლო სესხები | 1,433,589 | 82% | 1,684,187 | 83% |
| ვაჭრობა და მომსახურეობა | 274,906 | 16% | 315,546 | 16% |
| სოფლის მეურნეობა | 44,364 | 2% | 14,380 | 1% |
| **სულ სასესხო პორტფელი** | **1,752,859** | **100%** | **2,014,113** | **100%** |

**სასესხო პორტფელი სეგმენტაციის მიხედვით**

| | 31-დეკ-21 | | 31-დეკ-20 | |
|---|---|---|---|---|
| ფიზიკური პირები | 1,624,697 | 93% | 1,915,985 | 95% |
| იურიდიული პირები | 128,162 | 7% | 98,128 | 5% |
| **სულ სასესხო პორტფელი** | **1,752,859** | **100%** | **2,014,113** | **100%** |

### 7.1 მთლიანი სასესხო პორტფელი ძირის და დარიცხული პროცენტის მიხედვით

| | შენიშვნა | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|---|
| სესხის ძირი | 7.2; 7.3 | 1,752,859 | 2,014,113 |
| დარიცხული პროცენტი | | 721,461 | 632,782 |
| **მთლიანი სასესხო პორტფელი** | | **2,474,320** | **2,646,895** |

შენიშვნა 7 გაცემული სესხები *(გაგრძელება)*

### 7.2 გაცემული სესხის ძირის განაწილება სესხის ვადიანობის მიხედვით

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| 1 წელზე ნაკლები | 1,392,636 | 1,444,958 |
| 1-დან 3 წლამდე | 120,917 | 288,116 |
| 3-დან 5 წლამდე | 239,306 | 259,539 |
| 5 წელზე მეტი | - | 21,500 |
| **სულ გაცემული სესხის ძირი** | **1,752,859** | **2,014,113** |

### 7.3 უზრუნველყოფის ანალიზი

კომპანიის მიერ გაცემული სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით (მიწა, შენობა), ავტომობილებით, თავდებობით. თუმცა გვხვდება არაუზრუნველყოფილი სესხებიც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს სესხის ძირის ნაშთების ანალიზს (სესხების გაუფასურების რეზერვის გამოკლების გარეშე) მათი შესაბამისი უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებებთან მიმართებაში (გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით რეალურ ღირებულებას გამოკლებული გირაოს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები):

| | 31-დეკ-21 | | 31-დეკ-20 | |
|---|---|---|---|---|
| | სესხის მიმდინარე ღირებულება | უზრუნველყოფის FVLCS * | სესხის მიმდინარე ღირებულება | უზრუნველყოფის FVLCS * |
| იპოთეკური სესხი | 482,578 | 1,221,998 | 527,426 | 1,201,998 |
| ბიზნეს სესხი | 370,132 | 803,000 | 465,460 | 794,000 |
| სამომხმარებლო სესხი | 900,149 | 986,200 | 1,021,227 | 772,950 |
| **სულ** | **1,752,859** | **3,011,198** | **2,014,113** | **2,768,948** |

* FVLCS - უზრუნველყოფის რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

### 7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი

მენეჯმენტს მიზანშეწონილად მიაჩნია სესხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობის მიხედვით საეჭვო ვალების რეზერვის შექმნა. ამასთან მენეჯმენტი ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მიხედვით სესხების დარეზერვების პოლიტიკას. გარდა ამისა, მენეჯმენტი ითვალისწინებს სესხის რესტრუქტურიზაციებს, კერძოდ, თუკი სესხი რესტრუქტურიზებულია 3-ჯერ ან მეტჯერ, ასეთი სესხის დარეზერვება ხდება 100%-ით. დამატებით, რეზერვის შექმნისას მენეჯმენტი ითვალისწინებს ბალანსის თარიღის შემდგომ მსესხებლების მიერ სესხის დაფარვებს და სესხის ნაშთის მიმდინარე სტატუსებს ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის. ამ რეზერვის დეტალები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

**2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| **ვადაგადაცილებული დღეები** | რეზერვის პროცენტი | სესხის თანხა | რეზერვის თანხა |
|---|---|---|---|
| 0-30 | 0% | 672,166 | - |
| 31-60 | 10% | - | - |
| 60-90 | 10%-30% | 40,894 | 8,518 |
| 90-120 | 30% | 10,302 | 2,827 |
| 120-150 | 30%-50% | 60,306 | 17,943 |
| 150-180 | 50% | - | - |
| 180< | 100% | 913,631 | 912,471 |
| რესტრუქტურიზებული სესხები | 100% | 777,021 | 728,163 |
| **სულ** | | **2,474,320** | **1,669,922** |

შენიშვნა 7 გაცემული სესხები *(გაგრძელება)*

### 7.4 სესხების გაუფასურების რეზერვი *(გაგრძელება)*

**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

| ვადაგადაცილებული დღეები | რეზერვის პროცენტი | სესხის თანხა | რეზერვის თანხა |
|---|---|---|---|
| 0-30 | 0% | 538,969 | - |
| 31-60 | 10% | 205,449 | 31,171 |
| 60-90 | 10%-30% | 105,013 | 26,728 |
| 90-120 | 30% | 36,139 | 17,198 |
| 120-150 | 30%-50% | 822 | 822 |
| 150-180 | 50% | 62,847 | 40,680 |
| 180< | 100% | 1,035,388 | 1,035,388 |
| რესტრუქტურიზებული სესხები | 100% | 662,268 | 662,268 |
| **სულ** | | **2,646,895** | **1,814,255** |

**ცვლილება სესხის გაუფასურების რეზერვში**

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| ნაშთი 1 იანვრისთვის | 1,814,255 | 1,961,099 |
| პლიუს: მიმდინარე პერიოდის საეჭვო სესხები | 273,764 | 449,267 |
| მინუს: აღდგენილი საეჭვო სესხები | (353,823) | (737,433) |
| გადაფასების შედეგი | (64,274) | 141,322 |
| **ნაშთი 31 დეკემბრისთვის** | **1,669,922** | **1,814,255** |

შენიშვნა 8 დასაკუთრებული ქონება

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| დასაკუთრებული ქონების ღირებულება | 139,630 | 145,045 |
| დასაკუთრებული ქონების გაუფასურების რეზერვი | (90,218) | (90,218) |
| **სულ დასაკუთრებული ქონება** | **49,412** | **54,827** |

კომპანია ყოველწლიურად აფასებს დასაკუთრებული ქონების საბაზრო ღირებულებას და, შედეგად, ქმნის გაუფასურების რეზერვს ისეთი დასაკუთრებული ქონებებისათვის, რომლებიც გაუფასურებულია ან / და არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს აღნიშნული ქონების რეალიზაციას.

## შენიშვნა 9 საგადასახადო აქტივები

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| მოგების გადასახადი | - | 48,357 |
| საშემოსავლო გადასახადი | 3,293 | (31,068) |
| ქონების გადასახადი | (3,142) | (2,523) |
| სხვა გადასახადები | 831 | 686 |
| **სულ საგადასახადო აქტივები** | **982** | **15,452** |

## შენიშვნა 10 ძირითადი საშუალებები და აქტივის გამოყენების უფლება

| 2021 წელი | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და მოწყობილობები | სხვა ძირითადი საშუალებები | საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | |
| ნაშთი 2020 წლის 31 | **16,454** | **8,518** | **11,646** | **107,050** | **143,668** |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის** | **16,454** | **8,518** | **11,646** | **107,050** | **143,668** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | | |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის | **(11,901)** | **(6,833)** | **(7,378)** | **(68,782)** | **(94,894)** |
| პერიოდის ცვეთა | (1,279) | (727) | (899) | (24,423) | **(27,328)** |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის** | **(13,180)** | **(7,560)** | **(8,277)** | **(93,205)** | **(122,222)** |
| **ნარჩენი ღირებულება** | | | | | |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის** | **4,553** | **1,685** | **4,268** | **38,268** | **48,774** |
| **ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის** | **3,274** | **958** | **3,369** | **13,845** | **21,446** |

| 2020 წელი | კომპიუტერული ტექნიკა | ავეჯი და მოწყობილობები | სხვა ძირითადი საშუალებები | საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | | | | | |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | **16,194** | **8,518** | **11,646** | **85,089** | **121,447** |
| დამატებები | 260 | - | - | - | **260** |
| იჯარის მოდიფიცირება | - | - | - | 21,961 | **21,961** |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის** | **16,454** | **8,518** | **11,646** | **107,050** | **143,668** |
| **აკუმულირებული ცვეთა** | | | | | |
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | **(10,532)** | **(5,996)** | **(6,268)** | **(45,000)** | **(67,796)** |
| პერიოდის ცვეთა | (1,369) | (837) | (1,110) | (23,782) | **(27,098)** |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის** | **(11,901)** | **(6,833)** | **(7,378)** | **(68,782)** | **(94,894)** |
| **ნარჩენი ღირებულება** | | | | | |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის** | **5,662** | **2,522** | **5,378** | **40,089** | **53,651** |
| **ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის** | **4,553** | **1,685** | **4,268** | **38,268** | **48,774** |

## შენიშვნა 11 გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

| გადავადებული გადასახადის კომპონენტები: აქტივი/(ვალდებულება) | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| ძირითადი საშუალებები | (2,859) | (7,130) |
| მიღებული სესხები | 11,524 | 24,229 |
| საიჯარო ვალდებულებები | 2,237 | - |
| **გადავადებული საგადასახადო აქტივი / (ვალდებულება)** | **10,902** | **17,099** |

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება მართებულია, რადგან თვლის, რომ კომპანიას ექნება მომავალი საგადასახადო მოგება გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებისთვის.

გადასახადების გადავადების მიზეზები მოკლედ ქვემოთ არის მოცემული:

*ძირითადი საშუალებები* - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, ცვეთა/ამორტიზაციის მეთოდებში, სასარგებლო მომსახურეობის ვადების განსაზღვრაში და გაუფასურების ზარალის აღიარებაში, რომლებიც წარმოშობს განსხვავებებს ფასს-ის მიერ განსაზღვრულ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებსა და ამ აქტივების საგადასახადო ბაზას შორის. ეს სხვაობები წარმოშობს გადავადებულ გადასახადებს. ასევე, ზოგიერთი ძირითადი საშუალების ჩამოწერა, რომელიც ასახულია ფასს-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ერთ პერიოდში შეიძლება გამოიქვითოს საგადასახადო მიზნებისთვის მხოლოდ შემდგომი პერიოდში, როცა მოხდება კონკრეტული ადმინისტრაციული პროცედურების დასრულება.

*მიღებული სესხები* - ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების საპროცენტო ხარჯები გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისათვის საკასო მეთოდით, ანუ მათი გადახდისას. თუმცა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

*აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები* - საქართველოს საგადასახადო კოდექსს და ფასს-ს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები აქტივების აღიარების კრიტერიუმებში, კერძოდ ფასს-ის მიხედვით იჯარა ხარჯად აღიარდება ცვეთის და საპროცენტო ხარჯის სახით, ხოლო საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხარჯად აღიარდება მხოლოდ საკონტრაქტო ღირებულება.

| ცვლილება გადავადებულ გადასახადში წლის განმავლობაში | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|
| წლის დასაწყისი - აქტივი / (ვალდებულება) | 17,099 | 38,771 |
| ცვლილება წლის განმავლობაში - სარგებელი /(ხარჯი) | (6,197) | (21,672) |
| **წლის ბოლოს აქტივი / (ვალდებულება)** | **10,902** | **17,099** |

| მიმდინარე წლის მოგების გადასახადის ხარჯი | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|
| ნორმატიული საგადასახადო ხარჯი | - | - |
| ეფექტი გადავადებულ გადასახადზე | 6,197 | 21,672 |
| **სულ მოგების გადასახადისგან (სარგებელი) / ხარჯი** | **6,197** | **21,672** |

## შენიშვნა 12 სხვა აქტივები

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მეწილეების მიმართ | 39,105 | 19,526 |
| სასარჩელო - საბაჟო დებიტორული დავალიანება | 24,664 | 16,779 |
| მისაღები საკომისიო | 310 | 328 |
| სხვა მოთხოვნები | 4,058 | 3,919 |
| **სულ სხვა აქტივები** | **68,137** | **40,552** |

**შენიშვნა 13 მიღებული სესხები**

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| დამფუძნებლებისაგან მიღებული სესხები | 133,225 | 191,675 |
| გადასახდელი პროცენტი | 76,828 | 161,528 |
| **სულ მიღებული სესხები** | **210,053** | **353,203** |

კომპანიას მიღებული აქვს სესხები დამფუძნებლებისგან დაკავშირებული მხარეებისგან. სესხების მიღება ძირითადად ხდება ლარში, აშშ დოლარსა და ევროში წლიური 14%-16% საპროცენტო განაკვეთით. სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით საპროცენტო განაკვეთები ფიქსირებულია, თუმცა მომავალში შესაძლოა შეიცვალოს. სესხის საკონტრაქტო ხანგრძლივობა მერყეობს 1-დან 2 წლამდე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე შეიძლება კიდევ უფრო გახანგრძლივდეს.

**მიღებული სესხის ძირი და პროცენტის თანხების განაწილება ვადიანობის მიხედვით**

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| 1 წელზე ნაკლები | 157,493 | 353,203 |
| 1-დან 3 წლამდე | 52,560 | - |
| **სულ მიღებული სესხები** | **210,053** | **353,203** |

კომპანიის მიერ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების დაფარვის თარიღს წარმოადგენდა 2021 წლის 21 იანვარი და 2021 წლის 1 ნოემბერი, თუმცა განხორციელდა ცვლილებები ხელშეკრულებებში, რის შედეგადაც ხელშეკრულებები გახანგრძლივდა შესაბამისად 2023 წლის 24 იანვრამდე და 2022 წლის 1 ნოემბრამდე.

**შენიშვნა 14 საიჯარო ვალდებულებები**

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულებები წლის დასაწყისში | 43,283 | 45,000 |
| იჯარის მოდიფიცირება | - | 21,961 |
| დარიცხული საპროცენტო ხარჯი | 2,348 | 3,867 |
| გადახდილი საიჯარო გადასახდელები | (30,087) | (31,101) |
| საკურსო სხვაობა | (631) | 3,556 |
| **სულ საიჯარო ვალდებულებები** | **14,913** | **43,283** |

**შენიშვნა 15 სააქციო კაპიტალი**

სს "მისო ინვესტ ჯორჯიას" სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ლარში და 2021 წელს არის 1,632,500 ლარი (2020: 1,632,500 ლარი). დამტკიცებული და განაღდებული სააქციო კაპიტალი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 65,000 ჩვეულებრივ აქციასა და 98,250 პრივილეგირებულ აქციას. თითოეული აქციის ღირებულება შეადგენს 10 ლარს. ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ დივიდენდი საკუთარი აქციების პროპორციულად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ ხმის უფლება აქციონერთა კრებაზე, პრივილეგირებული აქციების მფლობელებისგან განსხვავებით.

კომპანიის სააქციო კაპიტალი შესაძლებელია გაიზარდოს როგორც ჩვეულებრივი, ასევე პრივილეგირებული აქციების განთავსებით მხოლოდ კორპორაციის აქციონერთა საერთო კრებაზე აქციონერთა მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. კომპანიას ნებადართული აქვს პრივილეგირებული 98,250 აქცია, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა 10 ლარი.

## შენიშვნა 15 სააქციო კაპიტალი *(გაგრძელება)*

კომპანიის სააქციო კაპიტალის განაწილება 2021 წლის განმავლობაში 2020 წელთან შედარებით არ შეცვლილა. შემდეგ ცხრილებში მოცემულია კომპანიის სააქციო კაპიტალის განაწილება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე, როგორც 2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

| აქციონერი | ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა | წილი სააქციო კაპიტალში | სააქციო კაპიტალის თანხა |
|---|---|---|---|
| კლარკსონი მეთიუ ჯონ | 45,500 | 70% | 455,000 |
| ხარბედია რუსუდანი | 19,500 | 30% | 195,000 |
| **სულ ჩვეულებრივი აქციები** | **65,000** | **100%** | **650,000** |

| აქციონერი | პრივილეგირებული აქციების რაოდენობა | წილი სააქციო კაპიტალში | სააქციო კაპიტალის თანხა |
|---|---|---|---|
| კლარკსონი მეთიუ ჯონ | 85,000 | 86.51% | 850,000 |
| ჩეჩელაშვილი ვალერი | 13,250 | 13.49% | 132,500 |
| **სულ პრივილეგირებული აქციები** | **98,250** | **100%** | **982,500** |
| **სულ სააქციო კაპიტალი** | | | **1,632,500** |

## შენიშვნა 16 საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო სარგებელს, რომელმაც 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 320,665 ლარი (2020 წელი: 384,994 ლარი).

## შენიშვნა 17 საპროცენტო ხარჯი

| | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|
| მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი | 26,538 | 49,899 |
| საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი | 2,348 | 3,867 |
| **სულ საპროცენტო ხარჯი** | **28,886** | **53,766** |

## შენიშვნა 18 სხვა შემოსავალი

2020 წლის განმავლობაში სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავდა გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს, რამაც შეადგინა 54,224 ლარი. 2021 წლის განმავლობაში კომპანიის სხვა შემოსავალი ძირითადად მოიცავს საშემოსავლო გადასახადის შეღავათებს და შეადგენს 4,580 ლარს.

## შენიშვნა 19 საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

| | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|
| პერსონალის ხარჯები | 155,423 | 150,740 |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი | 29,181 | 26,450 |
| იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები | 37,434 | 17,915 |
| სხვა საგადასახადო ხარჯები | 9,882 | - |
| კომუნალური ხარჯები | 6,511 | 3,194 |
| დაცვის ხარჯები | 2,700 | 2,675 |
| საბანკო ხარჯები | 327 | 1,043 |
| სარეგისტრაციო ხარჯები | 371 | 316 |
| საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები | 355 | 278 |
| საკანცელარიო ხარჯები | 297 | 199 |
| სხვა საერთო ხარჯები | 22,413 | 19,954 |
| **სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები** | **264,894** | **222,764** |

**შენიშვნა 20 უიმედო ვალების ხარჯი**

უიმედო ვალების ხარჯი შედგება პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი სესხებისა და ნაპატიები მისაღები პროცენტის თანხებისგან, რომელიც 2021 წლისთვის შეადგენს 28,343 ლარს (2020 წელი: 305,178 ლარი).

**შენიშვნა 21 მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან**

| | 2021 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|
| სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი | 585,580 | 1,468,282 |
| სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებული ხარჯი | (657,905) | (1,312,902) |
| **სულ მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან** | **(72,325)** | **155,380** |

**შენიშვნა 22 ფინანსური რისკების მართვა**

**22.1 სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის სავალუტო კურსის მერყეობის რისკი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და მომგებიანობაზე. სავალუტო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები - კომპანიას გაცემული სესხების ნაწილი და მიღებული სესხები აქვს აშშ დოლარსა და ევროში. აქედან გამომდინარე, სავალუტო კურსის ცვლილება შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს კომპანიისთვის.

მენეჯმენტი აკონტროლებს სავალუტო რისკს იმით, რომ ცდილობს აქტივები და ვალდებულებები ერთსა და იმავე ვალუტაში ჰქონდეს.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცხრილი ვალუტების მიხედვით (შესაბამისი ეკვივალენტებით ლარში). ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ წარმოშობს სავალუტო რისკებს.

| **2021 წლის 31 დეკემბრისათვის** | ლარი | დოლარი<br>1 დოლარი = 3.0976 ლარს | ევრო<br>1 ევრო = 3.5040 ლარს | სხვა ვალუტები | **სულ** |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8,658 | 101,710 | 3 | - | **110,371** |
| გაცემული სესხები | 477,388 | 327,010 | - | - | **804,398** |
| სხვა აქტივები | 29,032 | - | - | - | **29,032** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **515,078** | **428,720** | **3** | **-** | **943,801** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | - | 80,665 | 129,388 | - | **210,053** |
| საიჯარო ვალდებულებები | 10,324 | 4,589 | - | - | **14,913** |
| სხვა ვალდებულებები | 7,232 | 1,104 | 5 | - | **8,341** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **17,556** | **86,358** | **129,393** | **-** | **233,307** |
| **წმინდა სავალუტო პოზიცია** | **497,522** | **342,362** | **(129,390)** | **-** | |

## შენიშვნა 22 ფინანსური რისკების მართვა *(გაგრძელება)*

### 22.1 სავალუტო რისკი *(გაგრძელება)*

| 2020 წლის 31 დეკემბრისათვის | ლარი | დოლარი<br>1 დოლარი = 3.2766 ლარს | ევრო<br>1 ევრო = 4.0233 ლარს | სხვა ვალუტები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 77,640 | 80,914 | 28,167 | - | **186,721** |
| გაცემული სესხები | 428,758 | 403,882 | - | - | **832,640** |
| სხვა აქტივები | 21,026 | - | - | - | **21,026** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **527,424** | **484,796** | **28,167** | **-** | **1,040,387** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | 53,081 | 98,352 | 201,770 | - | **353,203** |
| საიჯარო ვალდებულებები | 19,819 | 23,464 | - | - | **43,283** |
| სხვა ვალდებულებები | 3,120 | 643 | 6 | - | **3,769** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **76,020** | **122,459** | **201,776** | **-** | **400,255** |
| **წმინდა სავალუტო პოზიცია** | **451,404** | **362,337** | **(173,609)** | **-** | |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსში ცვლილებების ზეგავლენის ანალიზი კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე სხვა ცვლადების უცვლელობის დროს. უარყოფითი თანხები წარმოადგენს წმინდა შემცირებას სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ან კაპიტალში, დადებითი თანხები კი ასახავს წმინდა შესაძლო ზრდას. საბაზისო ვალუტა არის ლარი. ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

| | | **2021 წელი** | | **2020 წელი** | |
|---|---|---|---|---|---|
| ვალუტა | ცვლილება კურსში | გავლენა მოგებაზე | გავლენა კაპიტალზე | გავლენა მოგებაზე | გავლენა კაპიტალზე |
| აშშ დოლარი | -10% | (34,236) | (29,101) | (36,234) | (30,799) |
| | -5% | (17,118) | (14,550) | (18,117) | (15,399) |
| | 5% | 17,118 | 14,550 | 18,117 | 15,399 |
| | 10% | 34,236 | 29,101 | 36,234 | 30,799 |

| | | **2021 წელი** | | **2020 წელი** | |
|---|---|---|---|---|---|
| ვალუტა | ცვლილება კურსში | გავლენა მოგებაზე | გავლენა კაპიტალზე | გავლენა მოგებაზე | გავლენა კაპიტალზე |
| ევრო | -10% | 12,939 | 10,998 | 17,361 | 14,757 |
| | -5% | 6,470 | 5,499 | 8,680 | 7,378 |
| | 5% | (6,470) | (5,499) | (8,680) | (7,378) |
| | 10% | (12,939) | (10,998) | (17,361) | (14,757) |

## შენიშვნა 22 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

### 22.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაფარვას. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობისას.

მენეჯმენტი ასეთი ტიპის რისკების მართვას ახდენს ვადიანობის ანალიზით, განსაზღვრავს რა კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისათვის. იმისათვის, რომ მართოს ლიკვიდურობის რისკი, კომპანია ახდენს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მუდმივ მონიტორინგს, რაც აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ვადიანობის ანალიზს კომპანიის არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიმართ მიწოდებულ ინფორმაციას.

| 2021 წლის 31 დეკემბრისათვის | 1 წელზე ნაკლები ვადის მქონე | 1-დან 3 წლამდე ვადის მქონე | 3-დან 5 წლამდე ვადის მქონე | 5 წელზე მეტი ვადის მქონე | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 110,371 | - | - | - | **110,371** |
| გაცემული სესხები | 556,450 | 107,217 | 140,731 | - | **804,398** |
| სხვა აქტივები | 29,032 | - | - | - | **29,032** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **695,853** | **107,217** | **140,731** | **-** | **943,801** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | 157,493 | 52,560 | - | - | **210,053** |
| საიჯარო ვალდებულებები | 14,913 | - | - | - | **14,913** |
| სხვა ვალდებულებები | 8,344 | - | - | - | **8,344** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **180,750** | **52,560** | **-** | **-** | **233,310** |
| **ლიკვიდურობის სხვაობა** | **515,103** | **54,657** | **140,731** | **-** | **710,492** |
| **წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა** | **515,103** | **569,761** | **710,492** | **710,492** | |

| 2020 წლის 31 დეკემბრისათვის | 1 წელზე ნაკლები ვადის მქონე | 1-დან 3 წლამდე ვადის მქონე | 3-დან 5 წლამდე ვადის მქონე | 5 წელზე მეტი ვადის მქონე | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 186,721 | - | - | - | **186,721** |
| გაცემული სესხები | 502,617 | 193,262 | 115,261 | 21,500 | **832,640** |
| სხვა აქტივები | 21,026 | - | - | - | **21,026** |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **710,364** | **193,262** | **115,261** | **21,500** | **1,040,387** |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| მიღებული სესხები | 353,203 | - | - | - | **353,203** |
| საიჯარო ვალდებულებები | 28,104 | 15,179 | - | - | **43,283** |
| სხვა ვალდებულებები | 3,769 | - | - | - | **3,769** |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **385,076** | **15,179** | **-** | **-** | **400,255** |
| **ლიკვიდურობის სხვაობა** | **325,288** | **178,083** | **115,261** | **21,500** | **640,132** |
| **წმინდა ლიკვიდურობის სხვაობა** | **325,288** | **503,371** | **618,632** | **640,132** | |

## შენიშვნა 22 ფინანსური რისკების მართვა *(გაგრძელება)*

### 22.3 საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებიდან, რაც ზეგავლენას მოახდენს ფულად ნაკადებზე ან ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიის საოპერაციო შემოსავალი და ფულადი ნაკადები არ არის დამოკიდებული საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე, ვინაიდან მიუხედავად იმისა რომ კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივები და ვალდებულებები, ყველა ამ ინსტრუმენტს აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, რომელიც არ არის დამოკიდებული ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების მერყეობაზე.

### 22.4 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც ერთი მხარის მიერ ფინანსური ინსტრუმენტის ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მეორე მხარის მიერ ფინანსური დანაკარგების მიღებას. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან, სესხებიდან და მოთხოვნებიდან. მაქსიმალური საკრედიტო რისკი კომპანიისთვის საანგარიშგებო თარიღისათვის იყო:

| | 31-დეკ-21 | 31-დეკ-20 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 110,371 | 186,721 |
| გაცემული სესხები (წმინდა) | 804,398 | 832,640 |
| **სულ** | **914,769** | **1,019,361** |

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სანდო ფინანსურ ინსტიტუტებში და მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არანაირი საკრედიტო რისკი მათ ფულად სახსრებს არ ემუქრება.

გაცემული სესხები არის ერთადერთი მუხლი, რომელიც წარმოშობს საკრედიტო რისკს კომპანიისათვის. კომპანია ამ რისკს მართავს სესხის გაცემის სანაცვლოდ უზრუნველყოფის მოთხოვნით და სესხი/უზრუნველყოფის კოეფიციენტის საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნებით, რათა მოხდეს ყველა შესაძლო დანაკარგების რისკის გადაფარვა.

დამატებით, კომპანია ქმნის გაუფასურების ანარიცხს გაცემული სესხებისთვის და შესაბამისად საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებაში. კომპანია ანარიცხს ქმნის ვადაგადაცილების დღეებისა და რესტრუქტურიზაციების რაოდენობის შესაბამისად (დეტალურად იხილეთ შენიშვნა 7.4-ში).

კომპანიას გააჩნია პოლიტიკა და პროცედურები რისკების სამართავად, მათ შორის საკრედიტო კომიტეტი, რომელიც სასესხო აპლიკაციაში მოცემული ინფორმაციის ანალიზს ახდენს, რაც ამასთანავე აფასებს და ამცირებს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკის გადახედვა და დამტკიცება ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

## შენიშვნა 23 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

### 23.1 რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები

რეალური ღირებულების გამოთვლის მიზანია განისაზღვროს ის ღირებულება, რაც შეფასების თარიღისათვის შეიძლება მიღებული იქნას აქტივის გაყიდვიდან ან გადახდილი იქნას ვალდებულების დასაფარად ჩვეულებრივი ტრანზაქციის პირობებში ბაზრის მონაწილეთა შორის. მიუხედავად იმ მცდელობისა, რომ რეალურმა ღირებულებამ ასახოს ასეთი თანხა (რაც წინა წინადადებაშია ახსნილი), საოპერაციო გარემოსათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი განუსაზღვრელობების და შეფასებებში შესაძლო სუბიექტური ფაქტორების არსებობის გამო, არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეალური ღირებულება ზუსტად ასახავს იმ თანხას, რაც შეიძლება აქტივის დაუყოვნებელი გაყიდვის შემთხვევაში იქნას მიღებული ან ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვისთვის შეიძლება იყოს საჭირო.

ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შეფასებული რეალური ღირებულება დაახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულება გამოითვლება ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მომავალ ფულად ნაკადებსა და მსგავსი ინსტრუმენტების დისკონტორების კოეფიციენტს საანგარიშო თარიღისათვის. კომპანია იყენებს შეფასების ფართოდ აღიარებულ მოდელებს ჩვეულებრივი და უფრო მარტივი ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების განსასაზღვრად, რომლებიც იყენებენ მხოლოდ თვალსაჩინო საბაზრო მონაცემებს და ხელმძღვანელობის მხრიდან მცირედი დაშვებებისა და შეფასებების გამოყენება სჭირდებათ.

## შენიშვნა 23 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები: რეალური ღირებულებები და სააღრიცხვო კლასიფიკაციები *(გაგრძელება)*

### 23.2 რეალური ღირებულების იერარქია

კომპანია იყენებს შემდეგ დაშვებებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას:

ა) 19-40%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება კლიენტებზე გაცემული სესხებიდან მისაღები მომავალი ფულადი სახსრების დისკონტირებისთვის;

ბ) 14-16%-იანი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენება მიღებულ სესხებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი სახსრების გადახდების დისკონტირებისთვის.

კომპანია იყენებს შემდეგ იერარქიას რეალური ღირებულების განსაზღვრისათვის:

*დონე 1* ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე.

*დონე 2* შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც პირველ დონეშია ნახსენები და რომლებიც ხელმისაწვდომია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც შეფასებულია შემდეგი მონაცემების გამოყენებით: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რაც განიხილება, როგორც ნაკლებად აქტიური; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომელთა ფარგლებში ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია პირდაპირ ან ირიბად საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე.

*დონე 3* არათვალსაჩინო რესურსები. აღნიშნული კატეგორია შედგება ყველა ინსტრუმენტისგან, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება თვალსაჩინო მონაცემებს და ხელმისაწვდომი შემავალი მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

## შენიშვნა 24 კაპიტალის ადეკვატურობა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს საქართველოს ეროვნული ბანკი უსაზღვრავს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 1,000,000 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მისო ინვესტ ჯორჯიას სააქციო კაპიტალი არის 1,632,500 ლარი შესაბამისად (2020: 1,632,500 ლარი), კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს.

## შენიშვნა 25 დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომელბისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

## შენიშვნა 25 დაკავშირებული მხარეები *(გაგრძელება)*

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციების და ნაშთების დეტალები საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია ქვემოთ:

| ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021 | სხვა მოთხოვნები | გაცემული სესხი | მისაღები პროცენტი | მიღებული სესხი | გადასახდელი პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|
| მეწილეები | 39,105 | - | - | 80,665 | 60,515 |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | - | - | - | 52,560 | 16,313 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 41,400 | 7,054 | - | - |
| **სულ** | **39,105** | **41,400** | **7,054** | **133,225** | **76,828** |

| ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წელი | გადახდილი სესხის ძირი | გადახდილი პროცენტი | საპროცენტო შემოსავალი | საპროცენტო ხარჯი | ხელფასის ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| მეწილეები | - | 30,976 | - | 11,701 | 13,350 |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | - | 58,834 | - | 8,088 | 74,767 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 46,000 | 3,644 | 9,965 | 3,644 | - |
| **სულ** | **46,000** | **93,454** | **9,965** | **23,433** | **88,117** |

| ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2020 | სხვა მოთხოვნები | გაცემული სესხი | მისაღები პროცენტი | მიღებული სესხი | გადასახდელი პროცენტი |
|---|---|---|---|---|---|
| მეწილეები | 19,526 | 371 | 4 | - | 89,952 |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | 3,714 | - | - | 60,350 | 71,576 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | - | 41,600 | 656 | 131,325 | - |
| **სულ** | **23,240** | **41,971** | **660** | **191,675** | **161,528** |

| ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან 2020 წელი | გადახდილი სესხის ძირი | გადახდილი პროცენტი | საპროცენტო შემოსავალი | საპროცენტო ხარჯი | ხელფასის ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| მეწილეები | - | 164,180 | 248 | 11,486 | 13,600 |
| უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები | 153,504 | 87,886 | - | 19,390 | 81,805 |
| სხვა დაკავშირებული მხარეები | 30,000 | 10,691 | 9,847 | 10,691 | - |
| **სულ** | **183,504** | **262,757** | **10,095** | **41,567** | **95,405** |

## შენიშვნა 26 პირობითი ვალდებულებები

### 26.1 სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში, კომპანია წარმოადგენს სასამართლო პროცესის მხარეს. ანგარიშგების თარიღისათვის, ხელმძღვანელობისათვის არ არის ცნობილი კომპანიის წინააღმდეგ აღძრული, შეჩერებული ან სასამართლოში დავის გადატანის რისკის მქონე დავების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვნად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

### შენიშვნა 27 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

### შენიშვნა 28 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის შემოდგომაზე COVID-19-ის ვირუსით ინფიცირების შემთხვევების ზრდამ გამოიწვია ნაწილობრივი „ლოქდაუნი" 2020 წლის დეკემბრიდან 2021 წლის იანვრამდე. ვინაიდან, COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა, 2021 წლის 1 თებერვლიდან 2 მაისამდე მთავრობამ დაიწყო შეზღუდვების თანდათანობით მოხსნა. კომპანიის მენეჯმენტი ვერ აკეთებს ზუსტ პროგნოზს თუ რა ეფექტი ექნება COVID-19-ს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა, მენეჯმენტის შეფასებით, COVID-19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის უნარზე, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან კომპანიას ან მის მფლობელებს და კომპანიის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

*****

# მმართველობითი ანგარიშგება

სს მისო ,,ინვესტ ჯორჯია''

2021 წელი

INVEST GEORGIA

#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შიდა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

www.investgeorgia.ge

# ჩვენს შესახებ

- *სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ ინვესტ ჯორჯია" (ს/ნ 404869576) დარეგისტრირდა 2010 წელს, საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. ასევე კომპანიას აქვს ფილიალი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში-ზემო სვანეთის რეგიონში, ქალაქ ზუგდიდში.*

- *ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ფალიაშვილის 33.*


INVEST GEORGIA
#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია
საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შიდა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

www.investgeorgia.ge

# მმართველობითი ორგანო

- კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საბჭო. სს მისო ,,ინვესტ ჯორჯიას'' საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

- კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების გაცემა. კლიენტების სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით.

# 2021 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

- *2021 წელს კომპანიამ გააგრძელა 2019 წელს დაწყებული სამოქმედო გეგმა, კერძოდ:*
- *2021 წელს დააბრუნა მოზიდული სახსრების ძირითადი ნაწილი, რაც თავის მხრივ ამცირებს სავალუტო რისკსაც.*
- *აქტიური მუშაობა გააგრძელა ვადაგადაცილებული პორთველის ამოღებაზე. ვადაგადაცილებული პორთველის თანხა საკმაოდ შეამცირა.*
- *2021 წლის მანძილზე კომპანია გასცემდა მხოლოდ სამომხმარებლო სესხებს.*
- *2021 წელს ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების მიუხედავად, კომპანიამ შეინარჩუნა სამომხმარებლო სესხებზე არსებული საპროცენტო განაკვეთი.*
- *2021 წლის განმავლობაში კომპანიამ ჩაატარა არაერთი ტრენინგი თანამშრომლებისთვის.*


INVEST GEORGIA

#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შიდა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

www.investgeorgia.ge

INVEST GEORGIA

# ფინანსური ანგარიშგება

| აქტივები | 31-dek-20 | 31-dek-21 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტი | 186,721 | 110,371 |
| გაცემული სესხები | 832,640 | 804,398 |
| დასაკუთრებული ქონება | 54,827 | 49,412 |
| საგადასახადო აქტივები | 15,452 | 982 |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები | 17,099 | 10,902 |
| ძირითადი საშუალებებიდა აქტივის გამოყენების უფლება | 48,774 | 21,446 |
| არამატერიალური აქტივები | - | - |
| სხვა აქტივები | 40,552 | 68,137 |
| **სულ აქტივები** | **1,196,065** | **1,065,648** |
| **ვალდებულებები** | | |
| მიღებული სესხები | 353,203 | 210,053 |
| საიჯარო ვალდებულება | 43,283 | 14,913 |
| სხვა ვალდებულებები | 3,769 | 8,344 |
| **სულ ვალდებულებები** | **400,255** | **233,310** |
| **კაპიტალი** | | |
| სააქციო კაპიტალი | 1,632,500 | 1,632,500 |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | (836,690) | (800,162) |
| **სულ კაპიტალი** | **795,810** | **832,338** |
| **სულ ვალდებულება და კაპიტალი** | **1,196065** | **1,065,648** |

| | 2020 | 2021 |
|---|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 384,994 | 320,665 |
| საპროცენტო ხარჯი | (53,766) | (28,886) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **331,228** | **291,779** |
| შემოსავალი ჯარიმებიდან | 1,339 | 9,938 |
| სხვა შემოსავალი | 54,224 | 4,580 |
| **საოპერაციო შემოსავალი** | **386,791** | **306,297** |
| საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები | (222,764) | (264,894) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | (27,843) | (27,328) |
| უიმედო ვალების ხარჯი | (305,178) | (37,943) |
| სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი | 146,844 | 144,333 |
| დასაკუთრებული ქონების გაუფასურების ხარჯი | **(90,218)** | **(5,415)** |
| მოგება სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | **155,380** | **(72,325)** |
| **მოგება /(ზარალი) დაბეგვრამდე** | **43,012** | **42,725** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (21,672) | (6,197) |
| **მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი** | **21,340** | **36,528** |

# ფინანსური ანგარიშგება

| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება | 2020 | 2021 |
|---|---|---|
| სესხის დასაფარად შემოსული თანხები | 872,090 | 609,833 |
| გადახდილი პროცენტი | (266,624) | (95,802) |
| გაცემული სესხები | (186,095) | (238,437) |
| გადახდილი ხელფასები | (109,531) | (109,068) |
| საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები | (30,800) | (45,854) |
| პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები | (26,450) | (29,226) |
| მეწილეებისთვის გადახდილი თანხები | (18,550) | (18,600) |
| გადახდილი გადასახადები | (11,006) | (30,078) |
| დაზღვევის ხარჯები | (6,408) | (6,408) |
| კომუნალური ხარჯები | (5,257) | (6,143) |
| ბანკის მომსახურეობის საკომისიო | (739) | (307) |
| სხვა ხარჯები | (16,484) | (27,694) |
| სხვა შემოსავლები | 1,581 | 279 |
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | **195,727** | 2,495 |
| გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის გაყიდვა | 81,750 | |
| საბანკო დეპოზიტზე მიღებული პროცენტი | 67 | 3 |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | **81,817** | 3 |
| მიღებული სესხები | - | |
| დაფარული სესხები | (183,504) | (46,000) |
| **საიჯარო ვალდებულებების ძირის დაფარვა** | (21,660) | (24,931) |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | (205,164) | (70,931) |
| საკურსო სხვაობის შედეგი | 15,704 | (7,917) |
| **წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/შემცირება** | 72,380 | (68,433) |
| ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში | 98,637 | 186,721 |
| **ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს** | **186,721** | 110,371 |

- კომპანია მმართველობით ანგარიშგებაში ასახული თანხების დამატებით განმარტებებს არ ახდენს. თითოეული მაჩვენებელი ჩაშლილია და ახსნილია აუდიტორულ დასკვნაში, რომელიც ატვირთულია სს მისო ,,ინვესტჯორჯიას'' ვებ-გვერდზე: www. investgeorgia.ge
- ასევე კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ უწარმოებია კვლევები.

INVEST GEORGIA

# რისკების მენეჯმენტი

კომპანიის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები,მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი  პროცესით, როგორიცაა ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. მისოში თითოეული პირი არის ანგარიშვალდებული თავის მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკებზე.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის განსაზღვრასა და მიმოხილვაზე. ორგანიზაცია აღიარებს , რომ რისკის ეფექტიანი და ქმედითი მართვის პროცესების არსებობა მნიშვნელოვანია. ამისათვის ორგანიზაციამ დაადგინა რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია ორგანიზაცია დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. მათი კონტროლი ხდება ჯგუფის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით. რისკის მართვის გარემოს საშუალებით ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

INVEST GEORGIA
#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია
საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შიდა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

www.investgeorgia.ge

INVEST GEORGIA

- ორგანიზაციას გააჩნია საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მისომ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. მისო ახორციელებს საკრედიტო რისკის მართავს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით და რისკების ამ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგით. მისომ შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი მისოს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევისთანავე ხდება მსესხებელთან დაკავშირება და დარღვევის მიზეზების გარკვევა. საჭიროების შემთხვევაში, მისო ითხოვს გირაოს ან თავდებობას. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველთვიურად.

- საოპერაციო რისკი ახასიათებს ყველა პროდუქტს, საქმიანობის მიმართულებას, პროცესებს და სისტემებს და ამიტომ საოპერაციო რისკის ეფექტური მართვა წარმოადგენს მისოს საოპერაციო რისკების მართვის პროგრამის ერთ-ერთ ფუნდამენტურ შემადგენელს.

- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები ზრდის საკურსო სხვაობის რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშვა აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის ცვლილებით.

INVEST GEORGIA
#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია
საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შიდა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

www.investgeorgia.ge

- სავალუტო რისკის შემცირებას ხელს უწყობს ისიც, რომ 2021 წელს კომპანიამ გააგრძელა დააბრუნა უცხოურ ვალუტაში მოზიდული სახსრების.

- ლიკვიდურობის რისკი ზოგადად შეიძლება განსაზღვრულ იქნეს როგორც აქტივობისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობა. ლიკვიდობის რისკის მართვა წარმოადგენს მისოს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მისოს მიმდინარე გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად.

- ამასთანავე, კომპანიამ ფულის გათეთრების რისკის შემცირების მიზნით შეიმუშავა არაერთი დებულება. არაერთხელ გადაამზადა თანამშრომლები. ასევე თითოეული კლიენის შესწავლას მისო უფრო მეტ დროს და რესურს უთმობს.

# რისკების შეფასება

მისოს მიერ გამოყენებულ საკრედიტო რისკის შეფასების ძირითად მეთოდებს მიეკუთვნება კლიენტების კრედიტუნარიანობის დონის განსაზღვრის მეთოდოლოგია საფინანსო და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზისა და ექსპერტული შეფასების შედეგად.

მისო საკრედიტო რისკის შეფასებისას თითოეული კლიენტის მიმართ, როგორც წინა წლებში, 2021-შიც ინდივიდუალურ მიდგომას იყენებდა, როდესაც გარიგების მიხედვით საკრედიტო რისკი მეტწილად განისაზღვრება კლიენტის საერთო კრედიტუნარიანობით და ნაკლებად არის დამოკიდებული კლიენტის მიერ მოთხოვნილი საკრედიტო პროდუქტის პარამეტრებზე.

INVEST GEORGIA

საკრედიტო რისკის შეზღუდვისა და საკრედიტო რისკის დონის კონტროლის ძირითად ინსტრუმენტს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, წარმოადგენს საკრედიტო ლიმიტების სისტემა. ლიმიტის სახეებია: ლიმიტები საკრედიტო პორტფელისა და ცალკეული სეგმენტების მიხედვით; ასევე სხვა ლიმიტები, რომლებიც მისოს დაწესებული აქვს უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

უზრუნველყოფის არსებობა, რომელიც პასუხობს მისოს მოთხოვნებს და მისი საკმარისობა გაითვალისწინება საკრედიტო გარიგებათა ღირებულების პირობების განსაზღვრისას, ასევე საკრედიტო გარიგების მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას.

საგირავნო გარიგების ექსპერტიზის ჩატარებისას მისოში განისაზვრება უზრუნველყოფის საგნის საბაზრო და საგირავნო ღირებულება.

საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა და კონტროლი ხელს უწყობს მისოს ბიზნეს–მიზნების მიღწევას. საოპერაციო რისკების მართვის სისტემა აუცილებელია ზარალის აცილებისა და მინიმიზაციისათვის, რომელიც შეიძლება მიადგეს მისოს საოპერაციო რისკების რეალიზაციის შედეგად.

საოპერაციო რისკების მართვაში მისოს მიზნებს წარმოადგენს საოპერაციო რისკების მისაღები დონის გამოვლენა, შეფასება და განსაზღვრა. რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების შეკრების პროცესის ძირითადი ეტაპებია: რისკის მოვლენის გამოვლენა (იდენტიფიცირება), კლასიფიკაციის ჩატარება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით, რისკის შემთხვევის წარმოქმნის მიზეზების ანალიზი და შედეგების შეფასება; რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების რეგისტრაცია, რედაქტირება და შეთანხმება, გამოვლენილი რისკის მოვლენის შესახებ მონაცემების აქტუალიზაცია; რისკის მოვლენის შედეგების დარეგულირების ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და მომავალში რისკის მოვლენის წარმოქმნის რისკის შემცირება. რისკის მოვლენის და მასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ ინფორმაციის შეკრება მისოში ხორციელდება. საჭიროების შემთხვევაში მისო ახდენს სესხბის რესტრუქტურიზაციას ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს უზრუნველყოფის საგანი ან წამოიწყოს იძულებითი აღსრულების პროცედურები. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს დაფარვის პირობების გაუმჯობესებას და სესხის ახალი პირობების შეთანხმებას.

საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება წარმოადგენს საოპერაციო რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილს და უზრუნველყოფს შესაბამისი მმართველი ორგანოების მუდმივ და თავისდროულ ინფორმირებას გადაწყვეტილებების მისაღებად. ამ შემთხვევაში საოპერაციო რისკების შესახებ ანგარიშგება უზრუნველყოფს რისკის გამჭირვალობას და საოპერაციო რისკების მართვას აქცევს ყოველდღიურ უწყვეტ პროცესად.

საოპერაციო რისკების თაობაზე მისო ახდენს სებ-ის ყოველთვიურ ინფორმირებას დადგენილი ფორმითა და წესით.

რისკის კონტროლის პროცესი არ მოიცავს ისეთ რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკებს.

# ბიზნეს უწყვეტობის გეგმა

2020 წელს მსოფლიო რადიკალურად იცვლება და უჩვეულო ვითარების მომსწრე ხდება. ეს იყო ტრანსფორმაციის წელი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების წესი და ერთმანეთთან ურთიერთობა. ჩვენ მაქსიმალური ზომები მივიღეთ ცვლილებებთან გამკლავებისათვის და გამოწვევების ახალ შესაძლებლობებში გარდაქმნისთვის. დისტანციურმა სამუშაო პრაქტიკამ ჩვენ თანამშრომლებს მეტი მოქნილობა მიანიჭა.
2021 წელს მსოფლიო აგრძელებს პანდემიასთან ბრძოლას. ეკონომიკა ქვეყანაში ისევ არასტაბილურია, რამაც გამოიწვია ფასების მკვეთრი ზრდა. თუმცა 2021 წელს სს მისო ,,ინვესტ ჯორჯიამ'' გადადგა რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა.

სს მისო ,,ინვესტ ჯორჯია'' სამომავლო გეგმა შემდეგია:

1. **ჩვენი მომხმარებლების მხარდაჭერა და მათი რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა, ჩვენი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტია.**

2. **ჩვენი წვლილი შევიტანოთ იპოთეკური სესხების გაცემაში, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს უძრავი ქონების შეძენის.**
3. **აქტიურად ჩავერთოთ სოფლის მეურნეობის განვითარებაში.**

*1. სოფლის მეურნეობის განვითარება ბოლო წლების მანძილზე ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ეს არის დარგი, რომელშიც საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტია დასაქმებული. წლიდან -წლამდე ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი მკვეთრად იზრდება. იზრდება მათი ცოდნა და გამოცდილება. იბადება ახალი იდეები და ყველაფერი ამისათვის საჭიროა ფულადი სახსრები.*

*სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი დიდ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ჩვენი მიზანია სრულყოფილად შევისწავლოთ ეს რეგიონი და ამ რეგიონში მიმდინარე პროცესები. გვსურს შევქმნათ ახალი პროდუქტი, რომელიც მორგებული იქნება ამ პროექტში ჩართულ მოსახლეობაზე.*

*ამ ტიპის სესხი გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც დააკმაყოფილებენ განსაზღვრულ პირობებს. პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის პროცესის გაუმჯობესებას.*

*წლების მანძილზე სს მისო ,,ინვესტ ჯორჯიას'' არაერთი ბიზნეს სესხი გაუცია საქართველოს მაშტაბებით. სესხის უპირატესობას წარმოადგენდა კლიენტზე მორგებული გადახდის გრაფიკი, რაც თავის მხრივ დამოკიდებული იყო საქმიანობის სფეროზე.*

*ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალს საბაზრო ტენდეციებს და ყურადღებას ვაქცევთ ყველაზე უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი ჩვენი მომხმარებლების ქცევაში. მუდმივად ვცდილობთ, რომ ჩვენს მომხმარებლებს შევთავაზოთ მათთვის შესაფერისი პროდუქტები და მომსახურებები.*

INVEST GEORGIA
#71 Vazha-Pshavela Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
tel.: +995 32 207 567 ext.: 777
fax: +995 32 207 567 (770)

ინვესტ ჯორჯია
საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას #71
ტელ.: +995 32 207 567 შიდა: 777
ფაქსი: +995 32 207 567 (770)

www.investgeorgia.ge

# მომავალი გეგმები

- მისო ,,ინვესტ ჯორჯიას'' საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1 632 500ლარს. მისო ინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს, რომლის შემოწმება ხდება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს მისო ,,ინვესტ ჯორჯიას'' აქციონერები არიან:

  1. მეთიუ ჯონ კლარკსონი მფლობელი 130 500 ცალი აქციის.
  2. რუსუდან ხარბედია - 19 500 ცალი აქციის
  3. ვალერი ჩეჩელაშვილი - 13 250 ცალი აქციის

თითოეული აქციის ღირებულებაა 10 ლარი. კომპანიას აქციები არა გაუტანია აქციათა საფონდო ბირჟაზე.

- კომპანია გეგმავს ახალი პროდუქტების დანერგვას.
- კომპანია გეგმავს კლიენტების წახალისების მიზნით შეიმუშაოს პროცენტის დაწევის პროექტი.
- თანამშრომლების მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით გააგრძელებს ტრეინინგების დაფინანსებას.
- 2022 წელს კომპანია გეგმავს მიიღოს მონაწილეობა საქველმოქმედო აქციებში.
- 2022 წელს კომპანია გააგრძელებს მოზიდული სახსრების დაბრუნებას.
- 2022 წელს კომპანია გეგმავს კაპიტალის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ახალი პროდუქტების დანერგვას.

# მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

- ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე. ყველა ზემოთ აღნიშნული ნაბიჯი უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.
- მისოს ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

INVEST GEORGIA

# მმართველობის ანგარიშგების წარდგენა

- ანგარიშგება მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე. ყველა ზემოთ აღნიშნული ნაბიჯი უზრუნველყოფს კომპანიის სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.

- მისოს ხელმძღვანელობა ადასტურებს მოცემულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა კონტროლის პროცესების სრული დაცვით. ანგარიშგება აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ. საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ს.ს "ინვესტ ჯორჯია" / JSC "INVEST GEORGIA" 404869576

07.05.2022

INVEST GEORGIA

# 71 Vazha-Pshavela Ave.,
# 33 Z.Phaliashvili Ave.,
Tbilisi 0186, Georgia
Tel.:+995 32 250 00 21
Fax:+995 32 250 00 21 (770)

ინვესტ ჯორჯია

საქართველო, თბილისი 0186,
ვაჟა-ფშაველას გამზ N 71
ზ. ფალიაშვილის ქ. N33
ტელ.:+995 32 250 00 21
ფაქსი:+995 32 250 00 21 (770)